ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
საბაკალავრო პროგრამა: ფილოსოფია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	ფილოსოფია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	ფილოსოფიის ბაკალავრი Bachelor of Philosophy
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	8 სემესტრი, 240 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი): პროგრამის მოცულობა - 240 კრედიტი: ● ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი ● ზოგადი მოდული - 60 კრედიტი ● დამატებითი პროგრამა /თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	თამარ ცოფურაშვილი, პროფესორი გიგა ზედანია, პროფესორი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს და განახლებულია 2022 წელს. პროგრამა განახლებადია ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზნები

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს კრიტიკულად მოაზროვნე სპეციალისტი ფილოსოფიის დარგში, რომელიც აღჭურვილი იქნება ფართო ცოდნით ფილოსოფიის ისტორიის, მისი განვითარების ეტაპების, ძირითადი ფილოსოფიური მიმდინარეობებისა და ქვედისციპლინების შესახებ (ეთიკა, ლოგიკა, ესთეტიკა, პოლიტიკური ფილოსოფია). ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის განმავლობაში სტუდენტი შეძლებს კომპეტენციებისა და უნარების მნიშვნელოვანი დიაპაზონის (სისტემური და კრეატიული აზროვნება, ანალიტიკური უნარები, არგუმენტირებული მსჯელობა) გამოყენებას, რათა იმსჯელოს ფილოსოფიის კლასიკური და თანამედროვე პრობლემების/საკითხების შესახებ და საკუთარი იდეები ნათლად და დამაჯერებლად ჩამოაყალიბოს.

სწავლის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

1. ავლენს ზოგად ცოდნას ფილოსოფიის, როგორც დისციპლინის ისტორიისა და განვითარების ეტაპების შესახებ; ასევე ფუნდამენტური ფილოსოფიური ნაშრომების შესახებ.
2. აქვს ფილოსოფიაში მიმდინარე ძირითადი თანამედროვე პროცესებისა და ტენდენციების ანალიზის უნარი;
3. მსჯელობისას იყენებს ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას, ძირითად ფილოსოფიურ კატეგორიებსა და ცნებებს;
4. ავლენს ზოგად ცოდნას თეორიული ფილოსოფიის ძირითადი მიმდინარეობებისა და თეორიების შესახებ;
5. ავლენს ზოგად ცოდნას პრაქტიკული ფილოსოფიის ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ;
6. აქვს ისტორიული თუ ფილოსოფიური კონტექსტის გათვალისწინებით სხვადასხვა ფილოსოფიური თეორიის კრიტიკული ანალიზის უნარი და განასხვავებს იმ მეთოდებს, რომელსაც ეს თეორიები ემყარება;
7. შეუძლია კლასიკური და თანამედროვე ფილოსოფიური პრობლემების/საკითხების, იდეებისა და კონცეფციების შესახებ ინფორმაციის რეზიუმირება, მათი კრიტიკული ანალიზი და სინთეზი. ამის საფუძველზე

ორიგინალური, ლოგიკური და კომპლექსური მსჯელობის აგება დარგში არსებული ძირითადი დებატებისა და არგუმენტების გამოყენებით წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

8. შეუძლია საკუთარი იდეების/მოსაზრებების მკაფიოდ, დამაჯერებლად და თანმიმდევრულად აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით გადმოცემა ზეპირად თუ წერილობით, რისთვისაც ასევე იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;

9. ზრუნავს საკუთარი ცოდნის განვითარებაზე და სიახლეების გაცნობის მიზნით იყენებს სხვადასხვა რესურსს, მათ შორის სამეცნიერო ბაზებს.

პროგრამის სტრუქტურა

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა გაიაროს პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტები შემდეგი სქემის გათვალისწინებით:

- ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი;
- ზოგადი მოდული - 60 კრედიტი;
- დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი.

ზოგადი მოდული - 60 კრედიტი:

- შესავალი თანამედროვე აზოვნებაში I, II - 12 კრედიტი;
- აკადემიური მუშაობის ტექნიკები - 6 კრედიტი;
- სტატისტიკა-6 კრედიტი;
- ინგლისური ენის პრაქტიკული კურსები - 24 კრედიტი;
- შესავალი კურსები კოდით INTRO – 12 კრედიტი.

ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი:

- ფილოსოფიის პროგრამის სავალდებულო კურსები კოდით: PHILSGEN – 48 კრედიტი;
- ფილოსოფიის პროგრამის სავალდებულო-არჩევითი კურსები კოდით: 0/PHILS/0 - 60 კრედიტი (აქედან 30 კრედიტი სტუდენტმა უნდა დააგროვოს თეორიული ფილოსოფიის მოდულში, ხოლო 30 კრედიტი - პრაქტიკული ფილოსოფიის მოდულში);
- ფილოსოფიის პროგრამის არჩევითი კურსები კოდით: 0/0/PHILS - 12 კრედიტი.

დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი

სწავლების მეთოდები

- ლექცია;
- სემინარი;
- ანალიზისა და სინთეზის მეთოდი;
- პროექტი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- გონებრივი იერიში.

შენიშვნა: დეტალური ინფორმაცია სწავლების მეთოდების შესახებ მოცემულია შესაბამის სილაბუსებში /კონცეფციებში.

შეფასების წესი

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:

(A) ფრიადი - 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

(C) კარგი - 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი -61-70 ქულა;

(E) საკმარისი - 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა- 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშნვა: შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები

პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრს შეუძლია დასაქმდეს შემდეგ სფეროებში:

- საგანმანათლებლო სფერო;
- შესაბამისი პროფილის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები;
- გამომცემლობები;
- საჯარო დაწესებულებები;
- არასამთავრობო სექტორი;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- კერძო სექტორი;
- მასმედია და პრესა.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „არგუსი “;
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა E-learning და მასში ინტეგრირებული პროგრამა Turnitin;
- უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრები;
- სალექციო აუდიტორიები;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები (მათ შორის სამეცნიერო);
- ელექტრონული ბაზები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი;
- ილიას სახელმწოფო უნივერსიტეტის სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუტი;
- ილიას სახელმწიფო უნივესრიტეტის ბიოეთიკის ცენტრი;
- უნივერსიტეტის მულტიმედია-ბიბლიოთეკა.